რთული - ადვილი

მოსწავლეები დააწყობენ სიტყვის ბარათებს სირთულის მიხედვით (რთულიდან მარტივისკენ).



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ყოფს კლასს წყვილებად ან მცირე ჯგუფებად და თითოეულ წყვილს/ ჯგუფს აძლევს რამდენიმე სიტყვის ბარათს.
- მოსწავლეები სიტყვის ბარათებს განალაგებენ სირთულის მიხედვით. ჯერ გამოყოფენ ყველაზე რთულ სიტყვას და ბოლოს – ყველაზე მარტივს.
- მოსწავლეები და მასწავლებელი მსჯელობენ, რატომ მიიჩნიეს ბავშვებმა კონკრეტული სიტყვა შედარებით რთულად ან მარტივად; სვამენ კითხვებს და ასახელებენ სხვადასხვა მახასიათებელს/კრიტერიუმს, მაგ.; დასაწერად, დასამახსოვრებლად, წარმოსათქმელად, გასააზრებლად რთულია და სხვ.